ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №12

15 აპრილი 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

11:30 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

წევრები- ოთარ გრიგოლია, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამი ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე, ალექსანდრე რატიშვილი,დავით ფარცვანია,აკაკი ალადაშვილი.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილეები-მარიამ კვერნაძე, თამარ მელიქიშვილი.

სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.(12-0322103104-31 13.04.2022წ)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში (12-032205940-03 28.02.2022წ)
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
(საკრ.№15-0322098156-03; 11-01220984024 8.04.2022წ; საკრ.№15-032209675-03; 11-01220962498 6.04.2022წ; საკრ.№15-03221046-03; 11-0122104100 14.04.2022წ; საკრ.№15-0322104116-03; 11-01221043061 14.04.2022წ)

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ (ს/ნ. 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ. 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. (12-032209885-03 08.04.2022წ)
5. „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმებთან და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების“ შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემულ №000001 და №000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე. (12-0322098143 08.04.2022წ)

6. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მიკრო/რაიონის, კორპუსი N304-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 975 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.026.029) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე"(#12-0322089110-03 30.03.2022წ)

7. "ქალაქ თბილისში, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7320 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის: N1 და N2 (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.133) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" (#12-0322087117-03 28.03.2022წ)

8. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.675) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე"(12-032209782-03 7.04.2022)

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ოლეგი ზაბახიძეს (პ/ნ. 38001000396) (უფლებამონაცვლე: ფ/პ ხათუნა გრძელიშვილი, პ/ნ. 38001008104) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2013 წლის 17 ივლისის №ე-208-9-7535 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე (12-032209884-03 08.04.2022წ)

10. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.026.024) 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მანანა ქვათაძისთვის (პ/ნ:01030002340) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"(12-0322103125-03 14.04.2022წ)

11. ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.020.559) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ (#12-032208993-03 31/03/2022წ)

12. ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N75-ში მდებარე (საკადასტრო კოდები: N01.14.06.007.037) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (#12-032208993-03 31/03/2022წ)

13. ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-11 მიკრორაიონის მე-2 კვარტლის კორპუს N21ა-სა და კორპუს N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.004 და N01.12.02.020.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (#12-032207588-03 17.03.2022წ)

14. ქალაქ თბილისში, მიხეილ აბრამიშვილის ქუჩა N37-ში მდებარე 77.08 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.088.01.554) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"(#12-03220831-03 24.03.2022წ)

15. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N51-ში მდებარე 37.90 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.015.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" (#12-03220831-03 24.03.2022წ)

16. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N18-ში მდებარე 95.51 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.007.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (#12-03220831-03 24.03.2022წ)

17. ქალაქ თბილისში, რკინიგზის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.327.13.510) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (#12-032208346-03 25.03.2022წ)

18. ქალაქ თბილისში, რაფაელ დვალის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.014.011.01.526) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(#12-032208346-03 25.03.2022წ)

19. ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N106ე-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.166.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (#12-032208346-03 25.03.2022წ)

20. ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N104ზ-ში, კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.174) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (#12-032208346-03 25.03.2022წ)

21. ქალაქ თბილისში, ურეკის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.03.001.071.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (#12-032208346-03 25.03.2022წ)

22. ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.007.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (#12-032208992-03 31.03.2022წ)

23. ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (#12-032208992-03 31.03.2022წ)

24. ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (#12-032208992-03 31.03.2022წ)

25. ქალაქ თბილისში, ნორიოს აღმართის N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.055.014.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-03220972-03 7.04.2022)

26. ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა N67-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.034.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (12-03220972-03 7.04.2022)

27. ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე(12-03220972-03 7.04.2022)

28. ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი საქსოფმანქანა) მე-5 კვარტლის კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.27.007.006.01.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(12-0322103115-03 13.04.2022წ)

29. ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.21.002.058.01.525, N01.19.21.002.058.01.526, N01.19.21.002.058.01.527, N01.19.21.002.058.01.528) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " "(12-0322103115-03 13.04.2022წ)

30. ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(12-032203113-03 13.04.2022წ)

31. ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება N11-ში მდებარე 60.59 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.026.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე12-032203113-03 13.04.2022წ)

32. ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N144-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.048) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე12-032203113-03 13.04.2022წ)

სხდომის თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა კომისიის წევრებს,რომ დღის წასრიგით წარმოდგენილი რიგით მე-9 საკითხის განხილვა, უკეთ შესწავლის მიზნით გადაედოთ კომისიის მომდევნო სხდომისათვის.
კენჭი უყარეს აღნიშნულ წინადადებას.
მომხრე- 10.
დღის წესრიგი დამტკიცდა აღნიშნულის გათვალისწინებით.
მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.
მომხსენებელი-ლევან მიქავა
ლევან მიქავამ განმარტა,რომ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები გამოწვეულია ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდის (კოდი 10 22) მოცულობის 2 000,0 ათასი ლარით ზრდასთან დაკავშირებით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის (კოდი 10 26) შემცირების ხარჯზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა არ იცვლება და შეადგენს 1 392 079,0 ათას ლარს. გარდა ამისა, წარმოდგენილ პროექტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წინადადების გათვალისწინებით, შშმ სტუდენტების და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის დაფინანსების მიზნით, ბიუჯეტით დამტკიცებულ ქვეპროგრამას - „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 03) შეეცვალა სახელი და განსაზღრულია შემდეგი სახელწოდებით "სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა " (კოდი 07 05 03). შესაბამისად, დაზუსტდა ქვეპროგრამის აღწერილობითი ნაწილი.
წარმოდგენილი ცვლილებების პროექტით, თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 317 299,5 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 74 779,5 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 242 199,5 ათასი ლარის ოდენობით,
აქედან: გადასახადები 757 869,4 ათასი ლარი. მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 174 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 20 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი – 547 869,4 ათასი ლარი.

გრანტები 269 886,3 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 881,3 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 505,0 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 225 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 43 500,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 214 443,8 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 6 000,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 59 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 50 000,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 11 022,3 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები – 38 421,5 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 392 079,0 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 1 016 615,8 ათასი ლარი; ▯ არაფინანსური აქტივების ზრდა – 354 832,6 ათასი ლარი; ▯ ვალდებულებების კლება – 20 630,6 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 225 583,7 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 279 832,6 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა – 354 832,6 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება – 75 000,0 ათასი ლარი.
ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (74 879,5) ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება – 74 879,5 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 74 779,5 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (20 630,6) ათას ლარს, მათ შორის: – ვალდებულებების კლება 20 630,6 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (54 248,9) ათასი ლარით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

მომხსენებელი-ლევან მიქავა

ლევან მიქავას მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონების გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

2021 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 70,353.2 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 1 201,097.6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 228,087.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102.2%.

I შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1 128,769.6 ათასი ლარი, ფაქტიურად 1 146,914.0 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 101.6% და მთლიანი შემოსულობების - 93.4% შეადგინა.

- **გადასახადების** სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 736,080.7 ათასი ლარი და 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 617,311.9 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 118,768.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 216,906.5 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 171,167.1 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 28,580.8 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 17,158.7 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 519,174.1 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2020 წლის ფაქტი - 429,391.5 ათასი ლარი) შედარებით 89,782.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

II გრანტები. საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 201,131.6 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 199.7 ათასი ლარი (ევროკავშირიდან მიღებული გრანტი - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი

განვითარებისათვის"; 2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების N6024-GEO ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის" განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ); სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 200,931.9 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 460.0 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 175,000.0 ათასი ლარი (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები;

მაგისტრალური წყალსადენის კვანძების მოწყობის (მუხრან მაჭავარიანის და მარშალ გელოვანის გამზირი) სამუშაოები, ვაშლიჯვარი-ლისის (მაჭავარიანის ქუჩა) დამაკავშირებელი საავტომობილო გზაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები, შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლებით გამაგრების სამუშაოები, თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები; თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში შუქნიშნის ძველი ობიექტების ახლით ჩანაცვლების ან ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, სატრანსპორტო დეტექტორების, ვიდეოკამერების, საგზაო კონტროლერების და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობის სამუშაოები: ვაკის პარკის სარეაბილიტაციო, ზღვის უბნის პარკის მოწყობის და ვარკეთილის II მ/რ-ში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და რ. ხომლელის ქუჩის მიმდებარედ არსებული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბაგა-ბაღების და სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; პროექტირების, ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, ისტორიული სადარბაზოების და მუზეუმების რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტ „ახალი ტფილისის" ფარგლებში გრძელდება ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები), ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 25,471.9 ათასი ლარი (თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების (II ფაზა) ფარგლებში ავტობუსების და მასთან დაკავშირებული სერვისის შესაძენად დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად, რუსთაველის გამზირიდან მთაწმინდის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობის მიზნით, მშენებლობისათვის აუცილებელი საშენი მასალების შესყიდვისა და მომსახურების საავანსო ვალდებულებების ნაწილი).

III სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 199,667.4 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 209,701.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 105%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2020 წლის ფაქტი – 142,405.2 ათასი ლარი) შედარებით 67,296.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადათ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელზე და სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 9,737.2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (19,468.3 ათასი ლარი) შედარებით 9,931.1 ათასი ლარით ნაკლებია.

დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდში მისაღები შემოსავლების გეგმა განსაზღვრულია 200.0 ათასი ლარის ოდენობით.

რენტის სახით მობილიზებულია 6,057.7 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 4,258.2 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,799.5 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 95,479.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (91,905.0 ათასი ლარი) 103.8%-ია. მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 13,301.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (11,500.0 ათასი ლარი) 115.7%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 12,351.1 ათასი ლარი, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 950.2 ათასი ლარი.

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან მიღებულია 1.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (5.0 ათასი ლარი) 30.6%-ია.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 36,689.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (31,000.0 ათასი ლარი) 118.4%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (4,534.2 ათასი ლარი) შედარებით 32,154.9 ათასი ლარით მეტია. მიმდინარე პერიოდში ობიექტების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად განაწილდა: წამახალისებელი გათამაშებიდან მიღებულია 5,235.2 ათასი ლარი (14.3%), სათამაშო აპარატებიდან - 22,397.4 ათასი ლარი (61%), სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან - 9,056.6 ათასი ლარი (24.7%):

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 42,629.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (48,000.0 ათასი ლარი) 88.8%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (48,139.0 ათასი ლარი) შედარებით 5,509.8 ათასი ლარით ნაკლებია.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 2,713.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,100.0 ათასი ლარი) 246.7%-ია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 1,187.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,950.0 ათასი ლარი) 60.9%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,174.1 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 13.5 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 49,965.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (51,000.0 ათასი ლარი) 90.8%-ია.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 47,273.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (40,462.4 ათასი ლარი) 116.8%-ია. მათ შორის: შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 357.1 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 4,535.6 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 2,736.2 ათასი ლარი, შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან - 69.7 ათასი ლარი, სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 38,093.9 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 1,617.3 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 81,168.7 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 14,046.1 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 634.6 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 66,488.0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა საანგარიშო პერიოდში განსაზღვრულია 143.2 ათასი ლარით.

ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 4.9 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებების და საგარეო - აქციები და სხვა კაპიტალის სახაზინო კოდებზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

2021 წელს გადასახდელების შესრულების 96%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის (96%) ტოლია, ხოლო თანხობრივად (2020 წელთან შედარებით) დახარჯულია 142,217.0 ათასი ლარით მეტი.

სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 13,736.4 ათასი ლარიდან გადარიცხულია 13,390.8 ათასი ლარი. მათ შორის: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად - 2,123.8 ათასი ლარი, მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის - 54.4 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების (სხვადასხვა ღონისძიებები) ხარჯების ასანაზღაურებლად - 221.0 ათასი ლარი, მოქალაქეთა სწავლის დასაფინანსებლად - 3.0 ათასი ლარი, 2021 წლის საახალწლო კონცერტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად - 407.3 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის ღონისძიებების განსახორციელებლად ორგანიზაციების ხელშეწყობა - 52.2 ათასი ლარი, უბედური შემთხვევის შედეგად (ხანძარი, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად აფეთქება და სხვა) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების და ლიფტები მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, დაზარალებული მოსახლეობის ქირის, სასტუმროს და სხვა ხარჯები - 1.627,5 ათასი ლარი, სასაჩუქრე კალათების შეძენა სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის - 52.4 ათასი ლარი, საქართველოში ახალი კორონა ვირუსით COVID-19 გამოწვეული დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად – 6,216.0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, გ. ლეონიძის ქ.#13-ის მიმდებარედ (ს/კ 01.20.01.117/072) ფორმირებული მეწყერის სალიკვიდაციო გადაუდებელი ღონისძიების - პროექტირებისა და სამუშაოების განხორციელების მიზნით - 1.999,1 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო პროექტის მიხედვით, წიგნებისა და პრესის რეალიზაციისთვის სტენდების შესყიდვა და მონტაჟის მიზნით - 134.1 ათასი ლარი, ქალაქ ბათუმში, 2021 წლის 8 ოქტომბერს, 26 მაისის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაზარალებულთა თანადგომისა და მხადაჭერის მიზნით - 500.0 ათასი ლარი.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიმართული სახსრები

2021 წელს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გამოყოფილი იქნა 2,000.0 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 1,360.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 68%-ია.

სესხების მომსახურება და დაფარვა

სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 19,244.7 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (19,244.7 ათასი ლარი) 100%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4,366.5 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 14,878.2 ათასი ლარი.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 79,358.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (87,172.6 ათასი ლარი) 91%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 6.6%-ს შეადგენს.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 1,553.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 911.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 58.6%-ია, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 0.1%-ს შეადგენს.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 354,919.1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 344,443.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 28.5%.

გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 168,931.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 161,440.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 13.4%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 253,166.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 244,931.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 20.3%.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 24,671.6 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 24,604.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 2%.

დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 60,866.7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 52,173.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 85.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 4.3%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 171,851.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 168,650.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 14%.

სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 132,521.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 131,381.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 10.9%.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 338,700.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (349,055.3 ათასი ლარი) 97%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 210,337.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (219,627.6 ათასი ლარი) 95.8%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 165,471.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (173,114.9 ათასი ლარი) 95.6%-ია;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 6,421.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (6,597.3 ათასი ლარი) 97.3%-ია;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 39,541.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (39,994.1 ათასი ლარი) 98.9%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 155,988.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (157,198.7 ათასი ლარი) 99.2%-ია;

განათლება - 174,139.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (178,964.0 ათასი ლარი) 97.3%-ია;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 33,270.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (38,568.7 ათასი ლარი) 86.3%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 4,457.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (4,514.8 ათასი ლარი) 98.7%-ია;
ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 94,443.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (102,896.3 ათასი ლარი) 91.8%-ია.
ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა წარიმართა კითხვა -პასუხის რეჟიმში.

მომხსენებელმა დაწვრილებით განმართა შეკითხვებზე.

მომხრე-8; თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს:ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

კვარტალური ცვლილებები წარმოადგინა ლევან მიქავამ.
წარმოდგენილია შესათანხმებლად რაიონული გამგეობების და საქალაქო სამსახურების მოთხოვნები კვარტალურ და წლიურ ცვლილებებთან დაკავშირებით. კერძოდ:
„ბიზნესის სტიმულირების" ქვეპროგრამის (პროგ.კოდი: 04 01) წლიური გეგმა იზრდება 100 000 ლარით, შესაბამისად მცირდება „თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა" – 100 000 ლარით. აღნიშნული ცვლილება ესაჭიროებათ პროექტის- „ევროკავშირის გარე მოქმედებები", საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, ასევე პროექტის „თბილისური ბაზრის" ფარგლებში დაგეგმილი გამოფენა-გაყიდვისთვის.
გლდანის რაიონის გამგეობას, 9 მაისის დღესთან დაკავშირებით, რაიონში მცხოვრები ომის ვეტერანებისთვის დაგეგმილი კვების პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტების შესაძენად, მეორე კვარტალში სჭირდება 400 ლარი, რომლის გადმოტანაც ხდება მეოთხე კვარტლიდან.
დიდუბის რაიონის გამგეობა, „გზების მოვლა შეკეთების" პროგრამაში მეორე კვარტალში ამატებს 400 000 ლარს, რასაც აბალანსებს „კეთილმოწყობის ღონისძიებების" (პროგ.კოდი: 02 09) მეორე კვარტლის გეგმის შემცირებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო, ახალი სკვერის მოწყობა დიღმის მასივის I კვარტლის კორპ.8-ის მიმდებარედ და გამოცხადებული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო ახალი ტენდერის გამოცხადება მეორე კვარტალში ვერ ესწრება.
გარდა ამისა გაიზარდა, რაიონში კოვიდით გამოწვეული დაავადებების დაფინანსებისთვის და დახმარებების მოთხოვნების რაოდენობა, რისთვისაც გამგეობა ითხოვს პროგრამის „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები (პროგ.კოდი: 06 02 18 09) მეორე კვარტლის გეგმის გაზრდას 150 000 ლარით გაზრდას, მესამე და მეოთხე კვარტლის გეგმის შესაბამისად შემცირებით.
რაიონში მდებარე ეკლესიების დასაფინანსებლად, ნაძალადევის რაიონის გამგეობის მოთხოვნით, „კეთილმოწყობის ღონისძიებების" პროგრამაში (პროგ.კოდი: 02 09 11) მეორე კვარტალში იზრდება სუბსიდია 60 000 ლარით.
კულტურის,განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოთხოვნით, იზრდება ქვეპროგრამის „საკონცერტო ორკესტრი ბიგ ბენდი" წლიური გეგმა 73916 ლარით, მალტაში ხელოვენის ფესტივალზე გასამგაზვრებლად, 32 ადამიანის ბილეთების შესაძენად. მცირდება ქვეპროგრამა „შემოქმედებითი თბილისი" 73916 ლარით. იზრდება ასევე ქვეპროგრამის ხელოვნების ძეგლების და პანთეონების მოვლა-პატონობა" (პროგ.კოდი: 08 04 04) ასიგნება 583 287 ლარით და მცირდება ქვეპროგრამის „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა" (პროგ.კოდი: 08 02) ასიგნება 583287 ლარით. აღნიშნული ცვლილება სჭირდებათ ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №28 ხელოვნების სკოლის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, ა(ა)იპ ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის ავეჯით აღჭურვისათვის და მარტის თვეში ძლერი წვიმების და თოვლის გამო დაზიანებული სკოლის სახურავებისა და საკლასო ოთახების მცირე სარმონტო სამუშაოების ჩასატარებლად.
მომხრე-10
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონულიგამგეობების და საქალაქო სამსახურები

ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა **გადაწყვიტეს:**
"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-4ეპუნქტის და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**
მოისმინეს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" (ს/ნ. 202886788) და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ. 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე
მარიამ კვერნაძის მოხსენებით, „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ. 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების ელექტრონული აუქციონის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის №18.1047.1491 განკარგულების საფუძველზე გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში გაიმარჯვა შპს „ალმამ" (ს/ნ. 204873388).

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა,რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" (ს/ნ. 202886788) და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვალს გაფორმდა „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ" ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს „ალმას" გადაეცა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება. ხელშეკრულების მოქმედების ვადად თავდაპირველად განისაზღვრა 20 წელი - 2039 წლის 07 თებერვლამდე.

მომხსენებელის განმარტებით, რეკლამის განთავსების უფლების გადაცემის საფასური განისაზღვრა 14 547 124.99 ლარის ოდენობით, რომელიც უფლების მიმღებმა გადაიხადა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. უფლების მიმღების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში გადახდილია ასევე ქალაქ თბილისში ტაქსით მომსახურების უფლების მქონე სატრანსპორტო საშუალებების თეთრ ფერად გადაღებვის მომსახურების ანაზღაურებისთვის გათვლილი გაუნაღდებელი ვაუჩერების (ვაუჩერი №1) ჯამურ ღირებულებასა და ქალაქ თბილისში ტაქსით მომსახურების უფლების მქონე სატრანსპორტო საშუალების სალონის ქიმწმენდის მომსახურების ანაზღაურებისთვის გათვლილი განაღდებული ვაუჩერების (ვაუჩერი №2) ჯამურ ღირებულებას შორის სხვაობა - 4 987 336 (ოთხი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაშვიდი ათას სამას ოცდათექვსმეტი) ლარი.

პანდემიის გამო, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 აგვისტოს №410 და 2021 წლის 31 აგვისტოს №443 დადგენილებების საფუძველზე 2021 წლის 14 აგვისტოდან 2021 წლის 13 სექტემბრამდე ქალაქ თბილისში შეჩერებული იყო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა როგორც საავტომობილო ტრანსპორტით, ისე მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო). შეზღუდვებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პერიოდში შეუძლებელი გახდა უფლების მიმღების მიერ რეკლამის განთავსების უფლების სრულფასოვნად რეალიზაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, უფლების მიმღებმა

სააგენტოში წარმოადგინა 2021 წლის 14 დეკემბრის №14-12ა (სააგენტოში რეგისტრაცია: №04-0121348363-61, 14.12.2021 წ.) წერილი, მასზე თანდართული სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 22 ნოემბრის №008154721 დასკვნით და მოითხოვა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. აღნიშნული დასკვნის თანახმად, 29 თვიანი პერიოდით უნდა იქნეს გაგრძელებული უფლების მოქმედების პერიოდი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების გადაცემის ამჟამად მოქმედი ვადის (2040 წლის 07 აგვისტო) ამოწურვის შემდეგ, რათა კომპენსირებული იქნეს დროის ის მონაკვეთი (2021 წლის 14 აგვისტოდან 2021 წლის 13 სექტემბრამდე), როდესაც ტრანსპორტის მოძრაობის შეჩერების გამო, უფლების მიმღებმა ვერ შეძლო რეკლამის განთავსების უფლების სრულფასოვნად რეალიზაცია. შესაბამისად, წარმოდგენილი განცხადებით, შპს „ალმამ" მოითხოვა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და მისი მოქმედების ვადის 29 თვით გაზრდა.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული დასკვნით დადგენილი 29 თვიანი ვადისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, ანალოგიურ საკითხზე ხელშეკრულებაში 2021 წლის 09 თებერვალს განხორციელებული ცვლილების მსგავსად, მხარეთა მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესაბამის დასკვნაში მითითებულზე მცირე ხნით, დამატებით 12 თვით (2041 წლის 07 აგვისტომდე) გაგრძელების თაობაზე.

მომხრე-6. წინააღმდეგი - ანა გოგოლაძე,საბა ბუაძე, ალექსანდრე რატიშვილი, დავით ფარცვანია.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.**

მოისმინეს: „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმებთან და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების" შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემულ №000001 და №000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე.

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, „ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №2-4 გადაწყვეტილებისა და „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 თებერვლის №05.10.119 დადგენილების საფუძველზე, გამოცხადდა აუქციონი ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამების განთავსების ნებართვის მიღების შესახებ და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გადაეცა შპს „აუთდორ.ჯის" (ს/ნ. 205255917),ხოლო მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გადაეცა შპს „სმოდ ედვერთაისინგს" (ს/ნ. 404885512, შპს „მაგი სტილი მედიას" უფლებამონაცვლე).

რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების თანახმად:

-ნებართვის ფასი განისაზღვრა გარე რეკლამის საშუალების იჯარის ან სხვაგვარი გამოყენების შესახებ ნებართვის მფლობელის მიერ მესამე პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემოსავლის 15%-ით;

-გარე რეკლამის განთავსების ნებართვა ნებართვის მფლობელზე გაიცა 12 წლის ვადით;

-ნებართვის მფლობელის მიერ გარე რეკლამის საშუალებებიდან მიღებული შემოსავლიდან ნებართვის გამცემისათვის გარე რეკლამის ნებართვის საფასურის მინიმალური ოდენობა შეადგენდა გარე რეკლამის საშუალების 1 კვ.მ ფართზე (ყოველთვიურად) 6 ლარს;

-გარე რეკლამის საშუალებებიდან შემოსავლის მიუღებლობის შემთხვევაში ნებართვის მფლობელის მიერ გადასახდელი საფასური შეადგენდა გარე რეკლამის საშუალების 1 კვ.მ ფართზე (ყოველთვიურად) 6 ლარს.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ოქმი №1-ის, ოქმი №2-ისა და სანებართვო პირობების მიხედვით, გარე რეკლამის სანებართვო პირობების დარღვევა იწვევს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობას. ნებართვის მფლობელების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. ამასთან, პირგასამტეხლოს ოდენობა აღნიშნული ოქმებითა და სანებართვო პირობებით განსაზღვრული არ არის. პირგასამტეხლოს ოდენობა ასევე არ არის განსაზღვრული ოქმების საფუძვლად არსებული კანონმდებლობით, მათ შორის „ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით ან „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 06 თებერვლის №2-4 გადაწყვეტილებით.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ შპს „აუთდორს.ჯის"და შპს „მაგი სტილი მედიას" , გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფასურის გადაუხდელობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრებოდა გადასახდელი საფასურის 0,1%-ის ოდენობით. აღნიშნული დადგენილების აღსრულების მიზნით, გათვალისწინებული იქნა ნებართვის მფლობელებთან შეთანხმების გაფორმება, თუმცა მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმება არ გაფორმებულა.

ნებართვების მფლობელების მიერ 2020-2021 წლების პერიოდში დარღვეული იქნა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფასურის გადახდის ვალდებულება, ამასთან, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, 2020 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 1 იანვრამდე გადაუხდელი საფასურის დავალიანების და მასზე დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ნებართვის მფლობელს გადაუვადდა 2021 წლის 1 ივლისამდე. აღნიშნული განკარგულებების იმავე პუნქტების თანახმად, 2020 წლის 30 დეკემბრიდან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №20.1691.2070 განკარგულების გამოცემის დღე) 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდში ნებართვის მფლობელს არ ერიცხება პირგასამტეხლო 2020 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე გადასახდელი ნებართვის საფასურის გადაუხდელობის გამო.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 20 მაისის №61-01211403550 და №61-01211403549, ასევე 2021 წლის 24 სექტემბრის №61-01212672803 და №61-01212672809 წერილებით ნებართვების მფლობელებს პირგასამტეხლოს სახით ეთხოვათ ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის გადაუხდელი თანხების 0.1%-ის გადახდა, მაგრამ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი 2022 წლის განცხადებებით, ნებართვების მფლობელები არ დაეთანხმნენ პირგასამტეხლოს, იმ დასაბუთებით, რომ გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა კანონმდებლობით, შესაბამისი ოქმით ან სანებართვო პირობებით გათვალისწინებული არ არის.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი შპს „აუთდორ.ჯის"და შპს „სმოდ ედვერთაისინგის" წერილებით, ნებართვის მფლობელებმა თანხმობა განაცხადეს გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფასურის გადაუხდელობისათვის, პირგასამტეხლოს სახით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,01%-ის ოდენობით (ჯამში: შპს „აუთდორ.ჯის" მიმართ - 52 381,90 ლარი, ხოლო შპს „სმოდ ედვერთაისინგის" მიმართ - 33 307,20 ლარი) განსაზღვრაზე/გადახდაზე.

ამის შემდეგ 2022 წლის 25 მარტს შპს „აუთდორ.ჯის"და შპს „სმოდ ედვერთაისინგის" წერილებით, ნებართვის მფლობელებმა კვლავ მიმართეს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფასურის ვადაგადაცილებით გადახდის გამო პირგასამტეხლოს განსაზღვრის საკითხზე. ნებართვის მფლობელების განმარტებით: ნებართვის მფლობელების მიერ გარე რეკლამის განთავსების საფასურის გადაუხდელობა გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით, კერძოდ ახალი კორონავირუსის - „COVID-19"-ის გავრცელების შედეგად, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მათი ეკონომიკური საქმიანობა და ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის არსებითად გაუარესება გამოიწვია.

